

2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდის პროგრამა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

უნარები და კომპეტენციები, რომლებიც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- ✓ ფაქტობრივი მასალის ცოდნა და მისი გამოყენება.
- ✓ საკითხის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი.
- ✓ შედარებითი ანალიზისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.
- ✓ არგუმენტირების უნარი.
- ✓ ხელოვნების ნაწარმოებისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულების გამოვლენის უნარი.
- ✓ შემოქმედის გამომსახველობითი ენის, სტილის თავისებურებებისა და სახვითი საშუალებების გააზრებისა და გარკვეული გავლენების აღმოჩენის უნარი.
- ✓ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცნებებისა და ტერმინების, ელემენტებისა და პრინციპების ცოდნის მიზანმიმართული და ადეკვატური ამოცნობისა და გამოყენების უნარი ნამუშევრის შექმნის თუ ანალიზის დროს.

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხთა დაზუსტება
საგნობრივი ცოდნა	
	<ul style="list-style-type: none"> • ხელოვნების ისტორიის პერიოდები, მიმდინარეობები და სტილები; სტილისა და მიმდინარეობების მხატვრული მახასიათებლები. • ტერმინები და მხატვრული ენა. • სახვითი ხელოვნების დარგები, ჟანრები. • სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები (სახვითი საშუალებები) და პრინციპები (სახვითი ხერხები) (ხაზი, კონტური, ფერი, ფორმა, ორნამენტი, კოლორიტი, ტონალობა, შუქ-ჩრდილი, გრადაცია, ფაქტურა, მოცულობა, მასშტაბი, მთლიანობა, პროპორცია, სიმეტრია, წონასწორობა, სივრცე, ხედვის წერტილი, პერსპექტივა, რიტმი, დინამიკა, კონტრასტი, კომპოზიცია).

	<p>• სახვითი მასალა და ტექნიკა (ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა, აპლიკაცია, მოზაიკა, ქაღალდის პლასტიკა, კოლაჟი, ანაბეჭდი, კომპიუტერული ტექნოლოგიები, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება).</p>
<p>ხელოვნების ისტორია</p>	
<p>პრეისტორიული ეპოქის ხელოვნება</p>	<p>სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის წარმოშობა, პრეისტორიული ხელოვნება: პერიოდიზაცია, პალეოლითისა და ნეოლითის ხანის ძეგლები: მცირე პლასტიკა - ქანდაკება; გამოქვაბულის მხატვრობა (ტასილი, ალტამირა, ლასკო), არქიტექტურა (დოლმენები, სტოუნჰენჯი).</p>
<p>ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება</p> <p>ა. ეგვიპტის ხელოვნება</p>	<p>ისტორიული მიმოხილვა/პერიოდიზაცია; წინადინასტიური, ძველი, შუა, ახალი სამეფოების და გვიანდელი პერიოდის ეგვიპტური ხელოვნება - არქიტექტურა, ქანდაკება, რელიეფი, კედლის მხატვრობა (მასტაბები, გიზას პირამიდები, მენტუხოტეპებისა და ხატშეფსუტის სატაძრო კომპლექსი დეირ ელ-ბაჰარიში, ლუქსორის და კარნაკის სატაძრო კომპლექსები თებეში, რამზესის ტაძარი აბუ-სიმბელში. ნარმერის ფილა, მწერალი კას ქანდაკება, ხეფრენის დიდი სფინქსი, მემნონის კოლოსები, სამარხის კულტურა და კავშირებული პორტრეტული ქანდაკებები. სამარხის მხატვრობა; ამარნის კულტურა: ეხნატონის, ნეფერტიტის ქანდაკებები, ახეტატონის სასახლის რელიეფები და მოხატულობა; ტუტანხამონის სამარხის საგანძური).</p>
<p>ბ. შუამდინარეთის ხელოვნება</p>	<p>ისტორიული მიმოხილვა/პერიოდიზაცია;</p> <p>შუმერის და აქადის ხელოვნება</p> <p>არქიტექტურა, ქანდაკება, გლიპტიკა - ურის ზიკურატი; გუდეას ქანდაკება, საბეჭდავები.</p> <p>ასურეთის ხელოვნება</p> <p>არქიტექტურა, ქანდაკება და გლიპტიკა - სარგონ II-ის სასახლე დურ-შარუკინში და მისი რელიეფები, შედუ სარგონ II-ის სასახლიდან, აშურბანიპალ II-ის სასახლის რელიეფები ნინევიამში, საბეჭდავები.</p>

	<p>ბაბილონის ხელოვნება არქიტექტურა - იშტარის კარიბჭე; ქანდაკება და გლიპტიკა.</p> <p>აქემენიდური ირანის ხელოვნება არქიტექტურა - ფასარგადის, პერსეპოლისის არქიტექტურული კომპლექსები; ქანდაკება, გლიპტიკა და გამოყენებითი ხელოვნება.</p>
<p>ძველი საბერძნეთი, ელინიზმი და რომი</p> <p>ა. ეგეოსური სამყაროსა და ძველი საბერძნეთის ხელოვნება</p> <p>ბ. ბერძნული არქაული ხელოვნება</p> <p>გ. ბერძნული კლასიკური ხელოვნება</p> <p>დ. ელინისტური ხელოვნება</p> <p>ე. ეტრუსკული ხელოვნება</p>	<p>ანტიკური ხელოვნების პერიოდიზაცია; ანტიკური სამყაროს მიმოხილვა ისტორიულ-კულტურულ და სოციალურ კონტექსტში.</p> <p>კრეტა-მიკენის ხელოვნება (კნოსოსის სასახლის არქიტექტურა, ქანდაკება, კედლის მხატვრობა; მიკენის აკროპოლისი - ლომების კარიბჭე, აგამემნონის ნილაბი, კერამიკა).</p> <p>არქიტექტურული ორდერი, კუროსები და კორები, კერამიკაზე მხატვრობა – კერამიკული მხატვრობის სტილები.</p> <p>პერიოდიზაცია; არქიტექტურა, ქანდაკება, რელიეფი. ადრეული კლასიკა (ათენა აფაიას ტაძარი კუნძულ ეგინაზე, დელფოსის მეეტლე, მენისმტყორცნელი ზევსის ქანდაკება, მირონის შემოქმედება). მაღალი კლასიკა (ათენის აკროპოლისი, ფიდიასისა და პოლიკლეტოსის შემოქმედება). გვიანი კლასიკა (ეპიდავროსის თეატრი, ჰალიკარნასის მავზოლეუმი, სკოპასის, პრაქსიტელისა და ლისიპეს შემოქმედება).</p> <p>არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა (პერგამონის არქიტექტურა და რელიეფი, ქანდაკება პერგამონიდან, ნიკე სამოთრაკიელი, აფროდიტე მილოსელი, ფილოსოფოსის თავი (ე. წ. სენეკას პორტრეტი), ლაოკოონი).</p> <p>ეტრუსკული ქანდაკება - ჰერმესისა და აპოლონის ქანდაკება ვეიდან, ოჯახური წყვილის სარკოფაგი ჩერვეტერიდან.</p>

<p>ვ. რომის რესპუბლიკისა და იმპერიის ხელოვნება</p>	<p>პერიოდიზაცია; ქალაქმშენებლობა, არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა/მოზაიკა, რელიეფი (რომის ფორუმი, პომპეის სახლები, აკვედუკები, ხიდები, თერმები, ტრიუმფალური თაღები – ვია აპია, ფაბრიციუსის ხიდი რომში, ადრიანეს მავზოლეუმი რომში, ტიტუსის ტრიუმფალური თაღი რომში, მოხუცი დიდებულის პორტრეტი, მარკუს ავრელიუსის ცხენოსანი ქანდაკება, ტრაიანეს სვეტი, კოლიზეუმი, რომის პანთეონი, პომპეის მხატვრობა, ფაიუმის პორტრეტები).</p>
<p>ბიზანტიის ხელოვნება</p>	<p>ბიზანტიური ხელოვნების თავისებურებები; ისტორიულ-კულტურული მიმოხილვა/პერიოდიზაცია; ბიზანტიური არქიტექტურის ტიპები (რავენას გუმბათური ხუროთმოძღვრება - სან ვიტალე; აია სოფიას ტაძარი კონსტანტინოპოლში); ბიზანტიური ფრესკული და მოზაიკური მხატვრობა (სან ვიტალე, აია სოფიას ტაძარი, სან აპოლინარე ნუოვო), მინიატურა (რაბულას და როსანოს კოდექსები).</p>
<p>ქართული ხელოვნება</p>	<p>ქართული ხელოვნების უძველესი ნიმუშები; თრიალეთის კულტურა - გამოყენებითი ხელოვნება (ოქროს ლომი (თრიალეთის კულტურის წინა პერიოდის ნიმუში), თასები, ყელსაბამი); ანტიკური ხანის ქართული ხელოვნება (კოლხური ქანდაკება და სამკაული - ნიკეს გამოსახულება, მამაკაცის ფიგურა, ოქროს დიადემა, სასაფეთქლეები, ყელსაბამი კუების გამოსახულებით, სამაჯურები ვანიდან; ყელსაბამები და გულსაბნევი, თასი ფორტუნას გამოსახულებით არმაზისხევიდან).</p> <p>ქართული ქრისტიანული ხელოვნების პერიოდიზაცია, ისტორიულ-კულტურული კონტექსტი; ბაზილიკური და დარბაზული ტიპის ეკლესიები ქართულ არქიტექტურაში (ბოლნისის სიონი, ანჩისხატი, ოთხთა ეკლესია), გუმბათოვანი ტაძრები; ტეტრაკონქი - მცხეთის ჯვარი და ჯვრის ტიპის ძეგლები; ქართული კათედრალური - ოშკი, ბაგრატი, სვეტიცხოველი, ალავერდი; სამთავროსა და სამთავისის, ანანურის ტაძრები; კლდეში ნაკვეთი არქიტექტურა (უფლისციხე, ვარძია); დარბაზი - საცხოვრებელი სახლის უძველესი ტიპი საქართველოში; VI-XVII სს. ქართული რელიეფი (ბოლნისის სიონის, ჯვრის, ოპიზის აშოტ კურაპალატის, სვეტიცხოველის, ნიკორწმინდის, სამთავროსა და სამთავისის რელიეფები); ადრეული ხანისა და შუა საუკუნეების ქართული მოზაიკური მხატვრობა (ძალისას, ბიჭვინთის, გელათის მოზაიკები); შუა საუკუნეების ქართული ფრესკული მხატვრობა (ატენის სიონის, ყინწვისის, ვარძიის, უბისას ფრესკები); ქართული ჭედური ხელოვნების განვითარების ეტაპები; IX-XIII სს. ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუშები (ბექა და ბემქენ ოპიზრების შემოქმედება, ხახულის კარედი, ბედიის ბარძიმი).</p> <p>XIX-XX საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნება (თბილისური პორტრეტი; გიგო გაბაშვილი და რუსული რეალისტური ხელოვნების გავლენა); ნიკო ფიროსმანაშვილი, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი, სერგო ქობულაძე, თეატრის</p>

	მხატვრები – ირაკლი გამრეკელი, პეტრე ოცხელი; მოქანდაკეები - იაკობ ნიკოლაძე, ნიკოლოზ კანდელაკი.
--	---

დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ხელოვნება	რომანული და გოთური ხელოვნების მიმოხილვა ისტორიულ-კულტურულ და სოციალურ კონტექსტში; ხელოვნების სინთეზის საკითხი შუა საუკუნეების ხელოვნებაში – არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა.
ა. რომანული ხელოვნება	წმ. პეტრეს ტაძარი მუასაკში (საფრანგეთი), ვორმსის ტაძარი (გერმანია), კათედრალური ტაძარი ილიში (ინგლისი).
ბ. გოთური ხელოვნება	პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, რუანის ტაძარი (საფრანგეთი), ნაუმბურგის ტაძარი, კიოლნის ტაძარი (გერმანია), ვესტმინსტერის სააბატო (ინგლისი).
რენესანსის ხელოვნება	პერიოდიზაცია; რენესანსის ეპოქის ისტორიულ-კულტურული ასპექტები.
ა. იტალიური რენესანსი	ადრეული რენესანსის არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა (ჯოტოს, მაზაჩოს, ფილიპო ბრუნელესკის, ლორენცო გიბერტის, დონატელოს, სანდრო ბოტიჩელის შემოქმედება) მაღალი და გვიანი ხანის რენესანსის არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა (წმ. პეტრეს ტაძარი, სანტა მარია დელ ფიორე, ლეონარდო და ვინჩის, ტიციანის, რაფაელის, მიქელანჯელოს შემოქმედება).
ბ. გერმანული რენესანსის ქანდაკება და მხატვრობა	ალბრეხტ დიურერის, ლუკას კრანახის, ჰანს ჰოლბაინ უმცროსის შემოქმედება.
ბ. ნიდერლანდების ხელოვნება XV-XVI სს.	იან ვან ეიკის, იერონიმუს ბოსხის, პიტერ ბრეიგელის, როგირ ვან დერ ვეიდენის შემოქმედება.

<p>XVII-XIX სს.- ის ევროპული ხელოვნება</p> <p>ახალი და თანამედროვე დასავლური ხელოვნება</p>	<p>ისტორიულ-კულტურული, სოციალური მიმოხილვა: ბაროკოს, რომანტიზმის, ნეოკლასიციზმის და რეალიზმის მხატვრული მიმდინარეობები: არქიტექტურა, ფერწერა, ქანდაკება (ბერნინი, ელ გრეკო, დიეგო ველასკესი, პიტერ პაულ რუბენსი, რემბრანტი, იან ვერმეერი, ჟაკ ლუი დავიდი, ოგიუსტ დომინიკ ენგრი, ეჟენ დელაკრუა, ფრანცისკო გოია, უილიამ ტერნერი, გუსტავ კურბე, ონორე დომიე).</p> <p>იმპრესიონიზმი, პოსტიმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, არ-ნუვო, ექსპრესიონიზმი, ფოვიზმი, კუბიზმი (აფრიკული ქანდაკებისა და ნიღბების, კოლუმბამდელი სამხრეთ ამერიკის, იაპონური ხელოვნების გავლენა თანამედროვე ხელოვნებაზე), ნაივური ხელოვნება, ავანგარდული ხელოვნება - აბსტრაქციონიზმი, სურეალიზმი, პოპ-არტი: არქიტექტურა, ფერწერა, ქანდაკება, ახალი მედიები (ედუარდ მანე, კლოდ მონე, ედგარ დეგა, პიერ-ოგიუსტ რენუარი, ალფრედ სისლეი, კამილ პისარო, ოგიუსტ როდენი, ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი, პოლ სეზანი, პოლ გოგენი, ვან-გოგი, ოდილონ რედონი, გუსტავ კლიმტი, ედვარდ მუნკი, ანრი მატისი, პაბლო პიკასო, ანრი რუსო, სალვადორ დალი, რენე მაგრიტი, ალბერტო ჯაკომეტი, ჰენრი მური, კონსტანტინ ბრანკუზი, მარკ შაგალი, ვასილი კანდინსკი, ხუან მირო, პიტ მონდრიანი, ენდი ვორჰოლი; არქიტექტორები: ანტონი გაუდი, გუსტავ ეიფელი, ლე კორბუზიე, ფრენკ ლოიდ რაიტი, ფრენკ გერი).</p>
<p>ისლამური ხელოვნება</p>	<p>სპარსული და არაბული არქიტექტურა (ისპაჰანის არქიტექტურული ნაგებობები, ლურჯი მეჩეთი ისტანბულში, კლდის გუმბათი), შორენკეცები, აღმოსავლური მინიატურა და კალიგრაფიის ნიმუშები.</p>
<p>ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების (სახვითი საშუალებებისა და ხერხების) ამოცნობა და/ან გამოყენება მხატვრულ ნაწარმოებში</p>	<p>ხაზი, კონტური, ფერი, ფორმა, ორნამენტი, კოლორიტი, ტონალობა, შუქ-ჩრდილი, გრადაცია, ფაქტურა, მოცულობა, მთლიანობა, პროპორცია, სივრცე, ხედვის წერტილი, პერსპექტივა, სიმეტრია, რიტმი, წონასწორობა, კონტრასტი, დინამიკა; კომპოზიციური განაწილება, ცივი და თბილი, კონტრასტული ფერები, ფერთა გრადაცია, შტრიხი, ლაქა, ბლიკი. სხვადასხვა ტექნიკა და პროცედურა (ფერწერა, გრაფიკა, კოლაჟი, აპლიკაცია).</p>